

თარგმანის როლი ფრანგული ენის სწავლების პროცესში

თეზისები: მოცემულ სტატიაში განვიხილავთ 3 ტიპის თარგმანს:

1. ინტრალინგვურ (შიდაენობრივ) თარგმანს, როცა თვით შესასწავლ ენაში სინონიმის, ანტონიმის, პერიფრაზირებისა და სხვა მეთოდებით ხორციელდება აზრის გადმოცემა; 2. ინტერლინგვურს (ენათაშორის) თარგმანს, როცა ერთი ენიდან მეორეში ან პირიქით, თარგმანი ხდება ექვივალენტების მოძიებით, ინტერსემიოტიკური თარგმანით ან ვერბალური თუ არავერბალური ინტერპრეტაციის მეშვეობით; 3. მესამე ტიპის თარგმანში იგულისხმება თარგმანის ინდივიდუალური მეთოდი, კერძოდ, თუ როგორ აღიქვამს უცხო ენის პედაგოგი თავის აზროვნებაში, თავის გრძნობებში შესასწავლ ენას და როგორ აწვდის იგი ამა თუ იმ ტექსტის, გამონათქვამის თუ იდიომების შინაარსს და აზრს, რა ინდივიდუალურ მეთოდებს იყენებს იგი, ეს ხორციელდება მინიშნებებით, შესტიკულაციით, ვერბალური ან არავერბალური თუ სხვა საშუალებებით.

ჩვენი ნაშრომის მთავარი მიზანია წარმოვაჩინოთ, თუ როგორ ვიყენებთ თარგმანს ფრანგული ენის სწავლებისას ქართულენოვანი აუდიტორიის წინაშე, რა მნიშვნელობა ენიჭება მას და რა შედეგებს ვღებულობთ ამ მეთოდის გამოყენებით სწავლების პროცესში.

საკვანძო სიტყვები: თარგმანი, ფრანგული ენა, ინტერპრეტაცია, პერიფრაზი, ვერბალური, არავერბალური

Abstract: The given abstract discusses 3 types of translation: 1. Intralingual translation, an opinion is conveyed in the language of study through synonyms, antonyms, paraphrases and by other methods; 2. Interlingual translation, when translation from one language to another or vice versa is done by finding equivalents, intersemiotic translation, verbal or nonverbal interpretation; 3.

The third type of translation involves the individual method of translation, in particular, how a foreign language teacher perceives in his/her thinking and feelings toward language of study and how s/he delivers this or that text, pronunciation, the content and meaning of idioms, what sort of individual methods s/he uses, this is done through implications, gestures, verbal or nonverbal or other means.

The main aim of the article is how we use translation in teaching French to the Georgian audience, what is its significance, what results we get from this method in the teaching process.

Keywords: translation, French language, interpretation, paraphrasing, verbal, nonverbal

წარმოდგენილ სტატიაში ჩვენი მიზანია განვსაზღვროთ თარგმანის როლი ფრანგული ენის სწავლებისას ქართველ ფრანკოფონ სტუდენტებთან. კერძოდ, როგორ უნდა მივაწოდოთ სტუდენტებს ის ხერხები, რომლებიც მათ დაეხმარებათ ამა თუ იმ ჟანრის ტექსტისა თუ გამონათქვამების გაგებაში, რათა სწორად გამოიყენონ ისინი ზეპირი თუ წერიტი თარგმნისას.

მარიან ლედერერი სანიმუშოდ იმოწმებს ედმონდ კარის განსაზღვრებას თარგმანის შესახებ:

თარგმანი ის პროცესია, რომლის მიზანაცაა, დაადგინოს ეკვივალენტები ორ განსხვავებულ ენაზე დაწერილ ტექსტებს შორის. ეს ეკვივალენტები ყოველთვის და უცილობლად ორი ტექსტის ბუნების, ასევე მათი დანიშნულების ფუნქციაა. იმ ურთიერთობის ფუნქციაა, რომელიც ორი ხალხის კულტურებს შორის არსებობს, ზნეობრივი, კლიმატური, ინტელექტუალური, ემოციური, მათი ყველა გარემოებისათვის დამახასიათებელი დროის და ადგილის ფუნქციაა, ორიგინალსა და სათარგმნ ენებში“, (*თარგმანი-ინტერპრეტაციული მოდელი* 11)

იმისთვის რომ ტექსტი სწორად ვთარგმნოთ, საჭიროა თავიდანვე გაიმიჯნოს ერთმანეთისაგან ენა, ფრაზა და ტექსტი, რადგანაც თარგმნის პროცესი ყველა ზემოხსენებულ დონეზე ერთნაირი არ იქნება.

როგორც მოგვხსენებათ, ქართული და ფრანგული სრულიად განსხვავებული, არამონათესავე ენებია. ერთი სინთეზურია, მეორე კი ანალიტიკური.

ზოგადად, თარგმნის მსვლელობა ტექსტის გაგებას, შემდეგ კი სათარგმნ ენაზე ამ ტექსტის ხელახლა გამოხატვას ნიშნავს. თითოეული ეს პროცესი ცალკე შესწავლას მოითხოვს, რადგანაც საკმაოდ კომპლექსურია. ტექსტის გაგება გულისხმობს ლინგვისტურ და ექსტრალინგვისტურ ცოდნას. ხელახლა გამოხატვის ხარისხი დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად ფლობენ მთარგმნელები სათარგმნ ენასა და თარგმნის ნიჭს; ასევე დამოკიდებულია სათარგმნი ტექსტის შინაარსზე (12).

ფრანგული ენის სწავლებისას განვიხილავთ 3 ტიპის თარგმანს: 1. ინტრალინგვურ (შიდაენობრივ) თარგმანს, როცა თვით შესასწავლ ენაში სინონიმის, ანტონიმის, პერიფრაზირებისა და სხვა მეთოდებით ხორციელდება აზრის გადმოცემა; 2. ინტერლინგვურ (ენათაშორის) თარგმანს, როცა ერთი ენიდან მეორეში ან პირიქით, თარგმანი ხდება ეკვივალენტების მოძიებით, ინტერსემიოტიკური თარგმანით ან ვერბალური თუ არავერბალური ინტერპრეტაციის მეშვეობით; 3. მესამე ტიპის თარგმანში იგულისხმება თარგმნის ინდივიდუალური მეთოდი, კერძოდ, თუ როგორ აღიქვამს უცხო ენის პედაგოგი თავის აზროვნებაში, თავის გრძნობებში შესასწავლ ენას და როგორ აწვდის იგი ამა თუ იმ ტექსტის, გამონათქვამის თუ იდიომების შინაარსსა და აზრს სტუდენტებს, რა ინდივიდუალურ მეთოდებს იყენებს იგი სწავლებისას, ეს ხორციელდება მინიშნებებით, შესტიკულაციით, ვერბალური ან არავერბალური, თუ სხვა საშუალებებით.

ტექსტის დონეზე მეტყველების სემანტიკის შევსება ხდება სტუდენტის კონტექსტუალური და ზოგადი ცოდნით. ამ ცოდნის წყალობით იგი თარგმნის ავტორს და არა მხოლოდ მის ენას. თუმცა თარგმნისას არ არის სავალდებულო სიტყვასიტყვითი თარგმანი, გარდა იმ შემთხვევისა, როცა საქმე ეხება ინტერლინგვურ თარგმანს, რომლითაც კონკრეტული მაგალითების საფუძველზე ამ ენის ფუნქციონირების ახსნა ხდება. სიტყვის თარგმნის ცდუნება ტექსტების თარგმნის პროცესს ენაცვლება, რაც აზრის დამახინჯებას იწვევს. შეუძლებელია თარგმნის განხორციელება ინტერპრეტაციის გარეშე (14-15).

როგორ უნდა განისაზღვროს თარგმნის ორიგინალის ეკვივალენტურობა?

ვერნერ კოლერი ეკვივალენტობის ცნებას 5 კატეგორიად ყოფს:

თარგმანმა უნდა გადმოსცეს ის ინფორმაცია, რაც მოცემულია ორიგინალში ექსტრალინგვისტური რეალობის შესახებ, მას იგი დენოტაციურ ეკვივალენტს (denotative Äquivalenz) უწოდებს;

თარგმანში უნდა იყოს შენარჩუნებული სტილი: ენის რეგისტრი, სოციოლექტი, გამონათქვამთა გეოგრაფიული გავრცელება ანუ კონოტაციური ეკვივალენტი (konnotative Äquivalenz);

თარგმანი უნდა შეესაბამებოდეს თარგმნილი ტექსტის ჟანრს: რეცეპტი სამართლებრივი ხელშეკრულების მსგავსად არ უნდა დაიწეროს. ვ. კოლერი ამ შემთხვევაში საუბრობს ნორმის ეკვივალენტზე (textnormative Äquivalenz);

თარგმანი უნდა იყოს გათვლილი მკითხველის ცოდნის დონეზე, რომ შეძლოს მისი გაგება. საქმე ეხება პრაგმატიკულ ეკვივალენტს (pragmatische Äquivalenz).

და ბოლოს, თარგმანმა იგივე ესთეტიკური ზეგავლენა უნდა მოახდინოს მკითხველზე, როგორც ორიგინალმა, საუბარია ესთეტიკურ ეკვივალენტზე (formal-ästhetische Äquivalenz) (90-91).

ეს კრიტერიუმები უდავოდ უნდა იყოს გათვალისწინებული გააზრებულად თუ ინტუიციით თარგმნის შეფასებისას (ლედერერი, *op. cit.* 91).

თარგმანის ეკვივალენტურობის მეთოდის შემდეგ მეორე მეთოდი შეიძლება განისაზღვროს შესატყვისების სისტემატიური ძიებით, რომელიც ცდილობს შეინარჩუნოს ალსანიშნის აღმნიშვნელის შეცვლით. კერძოდ, თუ მოცემულ სიტყვებს სხვა ენებში მსგავსი ფორმები გააჩნიათ, მათი თარგმნა შესატყვისების მეშვეობით ხდება (*Ibid.* 92-94).

ალსანიშნავია, რომ პროფესიული თარგმანი და სასწავლო თარგმანი ერთმანეთისაგან მნიშვნელოვნად განსხვავდება. ჩვენს შემთხვევაში განვიხილავთ, თუ რა როლი ენიჭება თარგმანის სწავლებას ბაკალავრიატში უცხო ენის გაკვეთილზე. პედაგოგის მოვალეობაა ენის სწავლების დაწყებითი საფეხურიდანვე მიაჩვიოს სტუდენტი თარგმნის პროცესს, ვინაიდან იგი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მეთოდი და საშუალებაა უცხო ენის სწავლება-სწავლისას.

ზოგადად, ერთი ენიდან მეორეზე თარგმნისას, პოეზიაში, ლიტერატურასა თუ პოლიტიკურ დისკურსში, სიტყვები ყურადღებით უნდა შეირჩეს. განსაკუთრებით საყურადღებოა იურიდიულ თუ სხვა სპეციფიკურ-დარგობრივ ტექსტებში სიტყვათა და ტერმინთა სწორი შერჩევა, ვინაიდან მათ საკუთარი მნიშვნელობა და წონა გააჩნიათ. ზემოხსენებული ტექსტების არასწორმა თარგმანმა კი შეიძლება ბუნდოვანება და სერიოზული პრობლემები შექმნას.

ამა თუ იმ ჟანრის ტექსტის თარგმნისას სასურველია მთარგმნელმა სწორად და ზუსტად შეარჩიოს სიტყვები, რომლებიც ასახავს ავტორის ფიქრსა და აზროვნებას, რათა შეძლოს ტექსტის რეკონსტრუქცია მშობლიურ ენაზე ყველაზე მარტივად, ნათლად და მიახლოებულად. ამისათვის საჭიროა მთარგმნელი ფლობდეს შემდეგ კომპეტენციებს:

1. გააჩნდეს ენობრივი კომპეტენცია, ესე იგი ენის ცოდნის გარკვეული, სასურველია, შესაბამისი დონე, რათა გაიგოს მოცემული სათარგმნი მასალა.
2. იცნობდეს სათარგმნი ენის ქვეყნის კულტურას და ცივილიზაციას იმისათვის, რომ განსაზღვროს სათარგმნი ტექსტში მოცემული იუმორი, ნაგულისხმევი აზრი, ირონია თუ სხვა.

მაგალითად: თუ ფრანგულენოვან ტექსტში მოცემულია:

La cinquième république ან L'Exagone – რაც საფრანგეთის რესპუბლიკის სინონიმებია და ხდება მათი პერიფრაზირება, ან კიდევ: Visiter Paris en 2CV (Citroën 2CV) = 4 roues sous 1 parapluie (4 ბორბალი 1 ქოლგის ქვეშ) – ეს არის „სიტროენის“ ძველი მოდელის მანქანა, რომელიც ემსახურება ტურისტებს პარიზის ნაკლებად ცნობილი ადგილების დასათვალიერებლად. ის 4 ადგილიანია და ღირს 19 ევროდან დაწყებული 400 ევრომდე, რაც დამოკიდებულია ექსკურსიის ხანგრძლივობაზე.

სტუდენტმა თუ არ იცის, რას ნიშნავს ეს სიტყვები, არ იცის საფრანგეთის მოკლე ან ზოგადი ისტორია, თუ არ იცნობს მის კულტურას, ცივილიზაციას, სიმბოლიკას, როგორ არის ისინი გამოყენებული ან რა არის მათში ნაგულისხმევი, ის ვერ მიხვდება, რა იგულისხმება მათში და ვერ შეძლებს მათ გაგებასა და თარგმნას, რაც, რასაკვირველია, უნდა მიაწოდოს მასწავლებელმა მასალის ახსნისას.

3. უნდა გააჩნდეს არგუმენტაციის კომპეტენცია, რათა დაადგინოს სიტყვათა არჩევანი.
4. უნდა გააჩნდეს ინტერპრეტაციის, რეპროდუქციის და კრეატიულობის კომპეტენციები, რაც განსაკუთრებით მიზანშეწონილია მხატვრული ტექსტის თარგმნისას.

ამა თუ იმ ენობრივი არსენალის ჭარბი ან უკმარი ფაქტები განსაკუთრებით სენსიტიურია მთარგმნელებისთვის.... თუმცა, ეკვივალენტის არქონა და არასრული ეკვივალენტურობა საკმაოდ გავრცელებული მოვლენაა სხვადასხვა ენაში, იგულისხმება, რომ სიტყვების უმეტესობა სხვადასხვა ენაში ეკვივალენტურია, მათი საფუძველია ენათმორისი ცნებები, ანუ ისინი შეიცავენ ცნებითი მასალის ერთნაირ რაოდენობას, გამოხატავენ სინამდვილის ერთსა და იმავე ნაწილს, მიიჩნევა, რომ ლექსიკის ეს პლასტი უფრო მარტივია ასათვისებლად და სათარგმნად, ეს ასეც იქნებოდა, უცხოური ენის შესწავლა ცნებების სისტემის ათვისებაზე რომ დაიყვანებოდა. მაგრამ ენა შედგება არა ცნებებისაგან, არამედ სიტყვებისაგან, ხოლო სიტყვის სემანტიკა არ ამოიწურება მხოლოდ ლექსიკური ცნებით. სიტყვის სემანტიკა მნიშვნელოვანწილად

La traduction comme dialogue interlingual et interculturel

განპირობებულია მისი ლექსიკურ-ფრაზეოლოგიური თანაფარდობით და სხვადასხვა სახის სოციოლინგვისტური კონოტაციით, როგორც ჩანს, სიტყვების ეკვივალენტურობა მეტყველებაში მათი სემანტიკისა და რეალური ფუნქციონირების მთელი მოცულობით საკმაოდ იშვიათია. (ტერ-მინასოვა, ენა და კულტურათმორისი კომუნიკაცია 72-74).

ერთსა და იმავე ცნებას, სხვადასხვა ენაში ენობრივი გამოხატვის სხვადასხვა ფორმა აქვს. სხვადასხვა ენის სიტყვები, რომლებიც ერთი და იგივე ცნებას გამოხატავენ, შეიძლება განსხვავდებოდნენ სემანტიკური ტევადობით და ფარავდნენ რეალობის სხვადასხვა ნაწილს. ეს დამოკიდებულია ადამიანის მიერ მისი გარემომცველი სამყაროს ასახვის შედეგად აღქმული მასალის მოცულობაზე. ზემოთ მოყვანილი მაგალითების საფუძველზე დასტურდება, რომ ერთი ენიდან მეორეში თარგმნისას გასათვალისწინებელია მოცემული, უცხო ენაზე მეტყველი კოლექტივის ცხოვრების სოციოკულტურული, ბუნებრივი, ტრადიციებისა და ადათ-წესების თავისებურებების გათვალისწინება.

სამყაროს ენობრივი და კულტურული სურათის ცნება მნიშვნელოვან როლს ასრულებს უცხოური ენების შესწავლისას. [...] შესასწავლი უცხოური ენა იჭრება მშობლიური ენის მატარებლის კულტურაში და განიცდის მასში ჩადებული კულტურის ზეგავლენას. მშობლიური ენისა და კულტურის სამყაროს პირვანდელ სურათს ზემოდან ედება შესასწავლი ენის სამყაროს მეორადი სურათი. (70-71)

მრავალი წლის წინ მომეცა საშუალება, სტუდენტებისთვის წამეკითხა თარგმნის თეორიის საფუძვლები და პრაქტიკა. მეცადინეობების დროს სტუდენტები თარგმნიდნენ სხვადასხვა ჟანრის ტექსტებს. რასაკვირველია, ყველა ვერ ახერხებდა, სათანადოდ ეთარგმნა პოეზიის ნიმუშები, თუმცა ცდილობდნენ გაეკეთებინათ ლექსის ინტერპრეტირებული თარგმანი, რაც უფრო საინტერესოს ხდიდა მეცადინეობის პროცესს და მოტივაციას უღვივებდა სტუდენტებს, აღმოეჩინათ საკუთარ თავში მთარგმნელის ნიჭი და ინდივიდუალიზმი.

დაწყებით ეტაპზე თარგმანის განხორციელება ხდება ეტაპობრივად, კერძოდ, ენის სწავლების დაბალ დონეზე სტუდენტს ვაჩვენებთ ცალკეული ლექსიკური ერთეულების თარგმნას, მათი სინონიმებისა და ანტონიმების მოძიებას, ლექსიკონზე მუშაობას, თემატური ლექსიკის მიხედვით ფრაზების თარგმნას A ენიდან B ენაზე და პირიქით, მათ გამოყენებას ზეპირმეტყველებისას და წერისას, კერძოდ, ფრაზების შედგენას, მოკლე ინფორმაციების თარგმნას ქართული მასმედიიდან ფრანგულ ენაზე და პირიქით, ხოლო უკვე სწავლების მესამე და მეოთხე

კურსზე ეძლევათ სხვადასხვა ჟანრის სათარგმნი ტექსტები: მხატვრული ლიტერატურიდან, პოლიტიკური დისკურსიდან, კულტურის, სპორტის, ბიზნესის და სხვა სფეროებიდან, რათა მათ მიეცეთ შესაძლებლობა და შესაბამისი ცოდნა, მათ მიერ შესწავლილი ენის დონეზე სწორად გაიგონ და აღიქვან შეთავაზებული ტექსტების შინაარსი და სწორად თარგმნონ ისინი.

აუცილებელია ქართველ სტუდენტებს მივაწოდოთ ის ლექსიკური მასალა, რომელშიც ჩანს ფრანგული ეროვნული, კლასიკური თუ თანამედროვე მახასიათებლები. რას ვგულისხმობთ ამაში? მაგალითად, ხშირია, როცა თანამედროვე ფრანგული ენის სახელმძღვანელოებში მოცემულია მასმედიაში არსებული ტექსტები, რომლებიც მდიდარია სპეციფიკური ტერმინოლოგიით, ხატოვანი გამონათქვამებით, აკრონიმებით და სხვა.

მაგალითად პრესაში ხშირად გამოყენებულ გამოთქმებს შორისაა:

Sauter du coq à l'âne – (პირდ. მამლიდან ვირზე გადახტომა) – ერთი საკითხიდან მეორეზე გადასვლა.

La feuille de chou (პირდ. კომბოსტოს ფურცელი) – ყვითელი, ვულგარული პრესა.

La carte bleue (პირდ. ლურჯი ბარათი) – საკრედიტო ბარათი

La carte grise (პირდ. რუხი ბარათი) – ტექნიკური პასპორტი

La carte d'orange (პირდ. ნარინჯისფერი ბარათი) – სამგზავრო ბარათი ტრანსპორტში

La carte rose (პირდ. ვარდისფერი ბარათი) – სადაზღვევო ბარათი

Donner à qqn la carte blanche (პირდ. მისცე ვინმეს თეთრი ბარათი) – მისცე ვინმეს თავისუფალი ქმედების უფლება

La garde de sceaux (პირდ. ბეჭდების მცველი) – იუსტიციის მინისტრი

Les chiens écrasés (პირდ. გაჭყლეტილი ძაღლები) – სხვადასხვა ამბები

Il faut tenir le miroir (პირდ. საჭიროა სარკის ხელში ჭერა) – საქმეზე სხვა მხრიდან/ კუთხიდან შეხედვა.

Mettre les pieds dans les plats (პირდ. კერძში ფეხების ჩადგმა) – საქმეში ჩარევა

La Une – ჟურნალის პირველი გვერდი

Le TGV (train à grande vitesse) – ჩქაროსნული მატარებელი

Le BCBG (bon chic bon genre) – კლასიკურად და ელეგანტურად ჩაცმული პიროვნება

La BD (Bande dessinée) – კომიქსი (Heu, Abou-Samra.... *Le nouvel édito, niveau B1/ B2. 50-51, 89, 36*)

La traduction comme dialogue interlingual et interculturel

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ფამილიარული, ჟარგონული ლექსიკური ერთეულების მიწოდება და მათი შესატყვისების შერჩევა სტუდენტებისათვის, ვინაიდან მათ იყენებენ თანამედროვე საფრანგეთში არამარტო ახალგაზრდები, არამედ ისინი უკვე დამკვიდრდა ზოგადად ფრანგულ საზოგადოებაში, თანამედროვე მხატვრულ ლიტერატურაში, ლექსებსა და სიმღერებში. ვინაიდან ენა საკმაოდ მობილურია დროსთან მიმართებით, ხშირია ისეთი შემთხვევებიც, როცა თანამედროვე სახელმძღვანელოებში ჩნდება სულ ახალი სიტყვები, ისეთები, რომლებიც ჯერ კიდევ არ არის ასახული განმარტებით ლექსიკონებში, ამიტომ მათი თარგმნა შესაძლებელია მხოლოდ კონტექსტის მიხედვით.

თარგმანი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საშუალებაა უცხო ენის სწავლებისას. ზოგ შემთხვევაში თარგმანი ეფექტური საშუალებაა უცხო ენაზე თავისუფალი მეტყველების განვითარებისათვის, რაც ხელს უწყობს სტუდენტის საკომუნიკაციო უნარ-ჩვევების განვითარებას.

დასკვნა

თარგმანი ავითარებს თარგმნის კომპეტენციას, რომლის მთავარი მიზანია, ჩამოყალიბოს სტუდენტებს შემდეგი ცოდნა და უნარ-ჩვევები:

- ენობრივი და მეტყველების უნარების გამოყენება და ტერმინების გაგება;
- მეტყველების უნარის განვითარება ერთი ენიდან მეორეზე თარგმნისას;
- ტექსტის სემანტიკური ანალიზის განხორციელების უნარის ჩამოყალიბება;
- მეტყველების უნარის განვითარება – იპოვონ ორიგინალი ტექსტის ინვარიანტები;
- პერიფრაზირების უნარის ჩამოყალიბება;
- ტექსტის რეზიუმირება.

როცა საუბარია დედა ენიდან უცხო ენაზე თარგმნაზე (ქართულიდან ფრანგულ ენაზე), რომელიც საკმაოდ რთულ მექანიზმს წარმოადგენს ზეპირმეტყველებისას, აუცილებლად გასათვალისწინებელია ზემოხსენებული უნარების განვითარება სტუდენტებისათვის, რაც შესაძლებელია სწავლების მაღალ დონეებზე.

რაც შეეხება ფრანგულიდან ქართულზე თარგმნას, ამ შემთხვევაში სტუდენტებს უვითარდებათ არამარტო უცხოენოვანი კომუნიკაციური კომპეტენცია, არამედ მშობლიური ენის ეფექტურად და ადეკვატურად

გამოყენების უნარები, სწორად აირჩიოს ლექსიკური ერთეულები, მათი სტილისტიკა და გამოიყენონ შესაბამისი გრამატიკული კონსტრუქციები, რაც ფრიად ამდიდრებს სტუდენტთა მეტყველებას, ეხმარება მათ წერითი და სამეტყველო უნარ-ჩვევების სრულყოფაში. სტუდენტი ლებულობს უდიდეს ცოდნას შესასწავლი ენის ხალხის კულტურის, ზნე-ჩვეულებების, სიმბოლოების, ტრადიციების, ისტორიის შესახებ, რაც უთუოდ ხელს უწყობს მათ ფრანგულენოვან საზოგადოებაში დამკვიდრებასა და კომუნიკაციას.

ბიბლიოგრაფია

Heu, Élodie, Abou-Samra, Myriam, Perrard, Marion, Pinson, Cécile, *Le nouvel édito, niveau B1/ B2*, Paris, Didier, 2012.

ლედერერი, მარიან, თარგმანი – ინტერპრეტაციული მოდელი [მთარგმნელი ქეთევან ჯაში], თბილისი, გამომცემლობა „მწიგნობარი“, 2013.

სელესკოვიჩი, დანიცა, ლედერერი, მარიან, თარგმნის ხელოვნება და სწავლების მეთოდი [მთარგმნელი ქეთევან ჯაში], თბილისი, გამომცემლობა „Chiron“, 2008.

ტერ-მინასოვა, სვეტლანა, ენა და კულტურათაშორისი კომუნიკაცია, თბილისი, გამომცემლობა „უნივერსალი“, 2017.